სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს
გადაწყვეტილება № 398
(ოქმი № 364)

თბილისი

2017 წლის 1 დეკემბერი

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს წევრების ჰონორარების ოდენობის განსაზღვრის შესახებ

ვინაიდან, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს 2017 წლის ბიუჯეტის ოდენობა შეადგენს 591 645 (ხუთას ოთხმოცდათერთმეტიათას ექვსას ორმოცდახუთი) ლარს, რომლიდანაც სამეურვეო საბჭოს წევრების ჰონორარებისათვის გამოყოფილი თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 394 430 (სამას ოთხმოცდათოთხმეტიათას ოთხას ოცდაათი) ლარს,

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად,

1. სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის ჰონორარი განისაზღვროს თვეში 5 800 (ხუთიათას რვაასი) ლარის ოდენობით;
2. სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მეურვის ჰონორარი განისაზღვროს თვეში 3 800 (სამიათას რვაასი) ლარის ოდენობით.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება ძალაშია 2017 წლის 1 დეკემბრიდან.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:

გრიგოლ გოგელია

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს წევრები:

გიორგი კოხრეიძე

ქეთევან მსხილაძე

მარინა მუსხელიშვილი

ირინა ფუტკარაძე

სულხან სალაძე

გიორგი ნიჟარაძე

ირაკლი პაპავა

გიორგი იაკობაშვილი